



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №42

2018 წელი 31 აგვისტო

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 ივლისის №11 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 03/08/2016, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016198) შეტანილ იქნას ცვლილება და

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობის ფორმის დამტკიცების შესახებ“

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობის ფორმა, თანახმად დანართი №1-ისა.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და მერიის საჯარო მოხელეთა სამუშაო აღწერილობის ფორმა“

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



შუკრი თურმანიძე